KA020261137631511

საქართველო

Georgia

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
საწარმოთა მართვის სააგენტო

Legal Entity of Public law
Enterprise Managment Agency

0108 ქ.თბილისი, ჭანტურიას ქ. №12
№12 Chanturia str. Tbilisi, Georgia, 0108

ტელ.: (995 32) 17 64 85 / 17 64 83
Tel.: (995 32) 17 64 85 / 17 64 83 www.ema.gov.ge

№ 33/718

06 / მაისი / 2011 წ.

შპს "სიონი-მ"

სსიპ "საწარმოთა მართვის სააგენტომ" განიხილა თქვენი 2011 წლის 04 მაისის №284 წერილი და აღნიშნულთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10^1 მუხლის მე-3 პუნქტის "გ" ქვეპუნქტისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 07.04.2011წ-ის №9 ბრძანებით დამტკიცებული "გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის" დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის "გ" ქვეპუნქტის თანახმად, სააგენტო არ არის წინააღმდეგი წერილში აღნიშნული საქონლის შესყიდვა (ასეთ შემთხვევაში შესყიდვის ობიექტის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული პრობლემების მოსაგვარებლად საჭირო ვადებს და შემსყიდველმა ორგანიზაციამ მაქსიმალურად უნდა აარიდოს თავი შესყიდვის განხორციელების გაჭიანურებას, რათა ხელოვნურად არ შეიქმნას შესყიდვის გადაუდებლად განხორციელების აუცილებლობა) განხორციელდეს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით (ბიზნეს-გეგმით გათვალისწინებული პარამეტრების შესაბამისად), კანონმდებლობით დადგენილი წესით, თუმცა ასევე გაცნობებთ, რომ აღნიშნულის თაობაზე დაუყოვნებლივ უნდა აცნობოთ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს. უნდა გაითვალისწინოთ ისიც, რომ სახელმწიფო შესყიდვა გადაუდებელი აუცილებლობის არსებობისას უნდა განხორციელდეს ამ თანხმობის მიღებიდან გონივრულ ვადაში.

ამასთანავე განგიმარტავთ, რომ პასუხისმგებლობა კანონმდებლობისა და შესაბამისი ნორმატიული აქტებით დადგენილი წესებისა და ნორმების დაცვისათვის, შესყიდვების რაციონალური განხორციელებისათვის მთლიანად ეკისრება შემსყიდველ ორგანიზაციას.

სააგენტოს თავმჯდომარე — ალექსანდრე ხოჯევანიშვილი

შპს "სიონი-მ"
შემოსული წერილი
204524108
№ 115
"10" 05 2011.

შპს "სიონი – მ"

L T D "SIONI – M"

ქ. თბილისი; II ხეივნის № 4

Tbilisi, II kheivani st. №4

№ 284

04 05 2011 წ

სსიპ „საწარმოთა მართვის სააგენტოს"

გაცნობებთ, რომ შ.პ.ს. „სიონი-მ"-ს მიერ მოქმედი კანონმდებლობით გამოცხადებული იყო ელექტრონული ტენდერები საწვავის (**SPA110000765** გამოცხადების თარიღი 14.01.2011 დასრულების თარიღი04.02.2011, **SPA110003370** გამოცხადების თარიღი 07.02.2011 დასრულების თარიღი 28.02.2011, **SPA110007531** გამოცხადების თარიღი 16.03.2011 დასრულების თარიღი 06.04.2011) „პრემიუმის" (ოქტანური რიცხვით არანაკლებ 95-სა) და საწვავის (**SPA110010461** გამოცხადების თარიღი 11.04.2011 დასრულების თარიღი 04.05.2011) „შეკუმშული ბუნებრივი გაზის" შესყიდვასთან დაკავშირებით. ასევე გამარტივებული ელექტრონული ტენდერები საირიგაციო მილსადენების მშენებლობასთან დაკავშირებით (**SPA110010852** გამოცხადების თარიღი 14.04.2011 დასრულების თარიღი 20.04.2011, **SPA110010207** გამოცხადების თარიღი 08.04.2011 დასრულების თარიღი 13.04.2011, **SPA110009548** გამოცხადების თარიღი 01.04.2011 დასრულების თარიღი 06.03.2011) და ნაწილები და აქსესუარები სატრანსპორტო საშუალებებისა და მათი ძრავების (**SPA110007792** გამოცხადების თარიღი 18.03.2011 დასრულების თარიღი 23.03.2011, **SPA110006175** გამოცხადების თარიღი 02.03.2011 დასრულების თარიღი 07.03.2011, **SPA110005060** გამოცხადების თარიღი 21.02.2011 დასრულების თარიღი 25.02.2011, **SPA110004246** გამოცხადების თარიღი 14.02.2011 დასრულების თარიღი 18.02.2011, **SPA110004112** გამოცხადების თარიღი 11.02.2011 დასრულების თარიღი 14.02.2011) შესყიდვასთან დაკავშირებით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და იმის გათვალისწინებით, რომ ადიდებულმა მდინარეებმა ქვემო ქართლის ტერიტორიაზე მნიშვნელოვნად დააზიანა მაგისტრალური არხების მონაკვეთები და სათავე ნაგებობები (რაც საფრთხეს უქმნის მომავალი სარწყავი სეზონის ჩატარებას) გადაუდებელ აუცილებლობას წარმოადგენს 5000 ლიტრი საწვავი „პრემიუმი" ოქტანური რიცხვით არანაკლებ 95-სა, 500$მ^3$ შეკუმშული ბუნებრივი გაზის", ექსკავატორი ჰიდრომეკისათვის 5 ცალი კოვშის კბილისა და 2 ცალი განათების ფარის, „კამაზისათვის" 1 ცალი საწვავის ავზისა და 1 კომპლექტი რულის წევის, ექსკავატორი 3322-სათვის 1 კომპლექტი მასრა-დგუშის, 1 კომპლექტი რგოლის, 1 კომპლექტი საფენის, 1 ცალი ჩობალის რემ. კომპლექტის, 1 კომპლექტი სადების, ექსკავატორი „ბელარუსი 2621"-სათვის 4 ცალი ნასოსის ნშ 100, 2 ცალი ნასოსი ნშ 32, 2 ცალი ნასოსი ნშ 10-ს შესყიდვა განხორციელდეს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის საფუძველზე.

დირექტორი *შალვა ქურდიანი*

იურ. მისამართი: ქ. თბილისი; II ხეივნის №4
ტელ: (832) 45 77 50
ფაქსი: (832) 45 77 50